

For that time it was a step forward and the information provided had, has and will always have its own place in Georgian historiography. The meaning of this “Black Job” is determined by its cognitive importance. As we can see, this interest wasn’t superficial and only narrated dry facts. They maximally tried to draw attention on target-effective connection and exactly this was the main dignity of their reasoning.

## ნესტორ ნოზაძე

### დაყუბითი განათლება ოსმალეთის იმპერიაში

ოსმალეთის სახელმწიფოს ისტორია მე-13 საუკუნის დასასრულიდან იწყება. მის წიაღში განათლების მთავარი მიზანი რელიგიური განსწავლულობა იყო, ენა კი – ოსმალური, რომელიც თურქულის, არაბულისა და სპარსულის ნაზავს წარმოადგენდა.

დანყუბითი სკოლები ფართოდ გავრცელდა სულთან მეჰმეთ ფათიჰის დროიდან და Sibyan Mektebi ბავშვების სკოლა ეწოდებოდა. ისლამურ კულტურას დიდი გავლენა ჰქონდა დანყუბით სკოლებში სასწავლო გეგმის შედგენაზე. თავდაპირველად სასწავლო გეგმა ითვალისწინებდა გოგონებისა და ბიჭებისათვის წერა-კითხვისა და ყურანის სწავლებას, ასევე ლოცვის შესახებ ინფორმაციის მიწოდებას.

დანყუბით სკოლაში შემსვლელთა ასაკი იყო 4 წელი, 4 თვე და 4 დღე. ოსმალებმა ეს ასაკობრივი ზღვარი ხელსაყრელად მიიჩნიეს. სკოლის დანყუბა და დასრულება აღინიშნებოდა ზეიმით (Bed i Besmele ერთგვარი სადიდებელი, რომლის დროსაც გამოხატავდნენ მადლიერებას ღმერთის მიმართ).

სიბიანის სკოლებში აკადემიურ პერსონალს წარმოადგენდა მასწავლებელი და მისი დამხმარე. მათ ყველაზე საპატიო და ღირსეულ პირთაგან ირჩევდნენ, უპირატესად – განსწავლული უხუცესებისგან. ამის მიზანი იყო გარკვეულ სიმნიფემდე მიღწეული ადამიანის მიერ დაგროვებული კულტურისა და ცოდნის მიწოდება ბავშვებისათვის.

აღნიშვნის ღირსია ის მოთხოვნები, რომელთა შესრულებაც სავალდებულო იყო დანყუბითი სკოლის პედაგოგისათვის. მას არ შეეძლო ხალხის მასაში ხანგრძლივად ყოფნა, ყავახანებში ან მოვაჭრეებთან ერთად მალაზიების წინ ჯდომა და საუბარი, იმისათვის, რომ დაცული ყოფილიყო

მისი პედაგოგიური და მეცნიერული ღირსება და ამისთვის ხელი არ უნდა შეეშალა უბრალო ხალხს.

სწავლისა და მეცადინეობის წახალისების მიზნით, შრომისმოყვარე სტუდენტებს საჩუქრად გადაეცემოდათ ლამაზი ქსოვილი ან წიგნი. გოგონები და ბიჭები სკოლაში ერთად დადიოდნენ. დაწყებითი სკოლები დილის ლოცვის შემდეგ იხსნებოდა და შუადღის ლოცვის შემდეგ სრულდებოდა. პარასკევის გარდა სწავლება ყოველდღე მიმდინარეობდა.

სულთანმა მეჰმეთ ფათიჰმა სავალდებულო გახადა შემდეგი: დაწყებითი კლასების პედაგოგებს დამთავრებული უნდა ჰქონოდათ მედრესე, ხოლო პირებს, რომლებიც არ ფლობდნენ ცოდნას ლიტერატურაში, ლოგიკაში, გეომეტრიაში, ასტრონომიასა და თეოლოგიაში, აუკრძალა დაწყებით სკოლებში სწავლება. სულთან მაჰმუდ II-ის ბრძანებით კი ბავშვები მოზარდობის ასაკამდე უნდა წასულიყვნენ სკოლაში, ამასთან, ვაჭრებს აუკრძალა ბავშვების შეგირდად აყვანა იმ მიზეზით, რომ ბავშვები დისტანცირებულნი არ ყოფილიყვნენ საბაზო განათლებისაგან.

დაწყებითი სკოლები ფასიანი იყო. გადასახადს მშობლები ფარავდნენ. ამასთან, არ იყო აუცილებელი, რომ საფასური ფულადი სახით ყოფილიყო დაფარული. მშობელთა შესაძლებლობის გათვალისწინებით, თანხას ენაცვლებოდა ზოგჯერ საკვები ან ტანსაცმელი და საყოფაცხოვრებო ნივთებიც კი ითვლებოდა საფასურად. დაარსდა ისლამური საქველმოქმედო ფონდები (ვაკუფები) ღარიბი ბავშვებისა და ობლების დასახმარებლად.

დაწყებითი განათლების მნიშვნელობა ოსმალეთის იმპერიის არსებობის ბოლო წლებამდე გაგრძელდა. მე-19 საუკუნიდან დაწყებითი განათლების კუთხით გარკვეული ცვლილებები მოხდა. 1824 წლიდან დაწყებითი განათლება ხდება საყოველთაო და სავალდებულო. 1846 წლის აგვისტოში შემუშავებული საგანმანათლებლო სისტემის რეფორმირების კანონპროექტით, დაწყებითი საგანმანათლებლო დაწესებულებები გამოდიოდნენ შეიხულისლამის სამსახურის მმართველობიდან. 1862 წელს “Sıbyan Mektebi”-ის სახელი შეიცვალა და “İptidâi (პირველი, დასაწყისი) Mektep” (სკოლა) ეწოდა.

*Nestor Nozadze*

## **PRIMARY EDUCATION IN THE OTTOMAN EMPIRE**

The history of the Ottoman state dates back to the end of the 13<sup>th</sup> century. The main purpose of education in its bosom was religious education, and the language – Ottoman, which was a mixture of Turkish, Arabic and Persian.

Elementary schools became wide spread from Sultan Mehmet Fatih's time and were named Sibyan Mektebi children's school. Islamic culture greatly influenced making of educational plan in the elementary schools. Initially the educational plan for girls and boys provided teaching of reading and writing and Kuran, as well as gave information about praying.

The age of children entering the primary school was 4 years, 4 months and 4 days. The Ottomans considered this age limit favorable. The start and the end of school was celebrated with a feast (Bed i Besmele a kind of praise, during which they expressed gratitude to God).

The academic staff in the Sibyan schools consisted of a teacher and his assistant. They were chosen from the most honorable and estimable persons, predominantly from the educated elders. The purpose was to provide children with the culture and knowledge they had acquired till a certain age of maturity.

The requirements indispensable for an elementary school teacher are worth mentioning. He could not stay in the crowd for long time, sit in cafes or with shopkeepers and talk in front of shops, in order to protect his pedagogical and scientific dignity, and for that he should not be hindered by ordinary people.

In order to encourage learning and studies, hardworking students were given a beautiful cloth or book as a gift. Girls and boys went to school together. Primary schools opened after the morning prayer and ended after the afternoon prayer. Children had training every day except Friday.

Sultan Mehmet Fatih made the following mandatory: primary school teachers had to graduate from a madrasseh, while he prohibited people from teaching in primary schools, who did not possess knowledge in literature, logic, geometry, astrology, theology. By the order of Sultan Mahmud II, children were to go to school before the age of adolescence, also, interdicting traders from the apprenticeship of children on the grounds that the children were not distanced from basic education.

Primary schools were paid. The fee was covered by the parents. However, it was

not necessary for the fee to be covered in money. According to the ability of the parents, the amount was sometimes replaced with food or clothing and even household items were considered as a fee. Islamic charity funds (waqfs) were established to help poor children and orphans.

The importance of primary education continued until the final years of the Ottoman Empire. Some changes have taken place in terms of primary education since the 19<sup>th</sup> century. Since 1824, primary education has become universal and compulsory. Under the Education Reform Bill, drafted in August 1846, primary education institutions were removed from the control of the Sheikhul Islam Service. In 1862, the name “Sıbyan Mektebi” was changed to “İptidâo (first, initial) Mektep (school).

### **ვალერი ოთხოზორია**

## **პირველი რესპუბლიკის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოთა მიმკვიდრეობის მნიშვნელობა ქართული პარლამენტარიზმის კვლევისთვის**

საქართველოს პირველი რესპუბლიკის არსებობის მცირე პერიოდში (1918-1921 წწ.) ქვეყანამ მოასწრო ორი უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო ჰქონდა: 1918-19 წლებში ეროვნული საბჭოს, ხოლო 1919-21 წლებში დამფუძნებელი კრების სახით. დამფუძნებელი კრების ფუნქცია იყო საქართველოს კონსტიტუციის მიღება და პარლამენტის არჩევამდე მისი უფლება-მოვალეობების შესრულება. დამფუძნებელი კრება 1919 წლის 12 მარტს გაიხსნა და 1921 წლის 21 თებერვლამდე არსებობდა. სწორედ 21 თებერვალს იქნა მიღებული დამფუძნებელი კრების მიერ საქართველოს 1921 წლის კონსტიტუცია, რომელსაც პრაქტიკულად ერთი დღეც არ უმოქმედია, თუმცა მნიშვნელოვან აქტს წარმოადგენს საქართველოს კონსტიტუციონალიზმის ისტორიაში. ამ კონსტიტუციაზე დაყრდნობით, მისი პრინციპების გათვალისწინებით იქნა შემუშავებული შემდეგ საქართველოს 1995 წლის კონსტიტუცია.

სამწუხაროდ, არ არის სიღრმისეულად შესწავლილი საქართველოს პირველი რესპუბლიკის საკანონმდებლო ორგანოთა საქმიანობა, მათი თავისებურებები, საკანონმდებლო აქტები, რომლებიც მიღებულ იქნა ამ პერიოდში, ორგანოთა სტრუქტურა, მუშაობის სტილი, შემადგენლობა და უფლებამოსილება. კერძოდ, როდესაც პარლამენტარიზმის კვლევის ფარ-